



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 437
28/02/2018

ქალაქი ბათუმი

437-05-4-201802281246



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციის გამო შტატების შემცირებისას გასათავისუფლებელ მოხელეთა მობილობის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N199 დადგენილების „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ მე-8 მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. დაიწყოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციის გამო შტატების შემცირებისას გასათავისუფლებელ მოხელეთა მობილობის ეტაპი.
2. მერიის ადმინისტრაციულ სამსახურმა (მ.ბახტაძე) უზრუნველყოს შეტყობინებების დაგზავნა შესაბამისი მოხელეებისათვის და კანონით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება.
3. მობილობის ეტაპის დასრულების ვადად განისაზღვროს 30 მარტი.
4. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა